უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 13

20 15 წ. "03" 06

ქ.თბილისი

შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400028849) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 ივნისის №6 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თინათინ ბრეგვაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) 2. სამართალი 3. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) 4. საერთაშორისო ურთიერთობები 5. ინგლისური ფილოლოგია	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 2. სამართლის ბაკალავრი 3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 4. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი 5. ფილოლოგიის ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
მაგისტრატურა	1. ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) 2. სამართალი 3. ადამიანური რესურსების მართვა 4. განათლების კვლევები და ადმინისტრირება	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში 2. სამართლის მაგისტრი 3. ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი 4. განათლების მეცნიერებების მაგისტრი

დოქტორანტურა	1. ბიზნესის ადმინისტრირება	1. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი